



შემოსავლების
სამსახური

გზამკვლევი

დამატებული ღირებულების გადასახადის
დეკლარაციის წარმოდგენა

ურთიერთობა მარტივია



**შემოსავლების
სამსახური**

ვის წარმოემოგა დღგ-ის დეკლარაციის წარმოდგენის ვალდებულება?

დღგ-ის დეკლარაციას ყოველ საანგარიშო პერიოდზე საგადასახადო ორგანოს წარუდგენს პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად და ახორციელებს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს.

რა ვადაში ხდება დღგ-ის დეკლარაციის წარმოდგენა და გადასახადის გადახდა?

დღგ-ის დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის (თვის) მომდევნო თვის 15 რიცხვისა. ამავე ვადაში ხორციელდება შესაბამისი გადასახადის გადახდა.

როგორ გამოიანგარიშება ბიუჯეტში შესატანი დღგ?

დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატანი დღგ-ის თანხა განისაზღვრება, როგორც სხვაობა დასაბეგრი ბრუნვაზე დარიცხულ (18%) დღგ-ის თანხასა და ჩასათვლელ დღგ-ის თანხებს შორის.

როგორ განისაზღვრება დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა?

დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების თანხების ჯამით.

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებია:

- ▶ საქონლის ან/და მომსახურების მიწოდება (მათ შორის საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაცია);

შენიშვნა: თუ საკომპენსაციო თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის /მომსახურების მიწოდებამდე, და ცნობილია, რომ აღნიშნული თანხის გადახდა უკავშირდება დღგ-ით დასაბეგრი კონკრეტული დასახელებისა და რაოდენობის საქონლის/მომსახურების მიწოდებას, ოპერაცია მიღებული საკომპენსაციო თანხის ოდენობით ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას თანხის მიღების მომენტში.

- ▶ საქონლის/მომსახურების გამოყენება არაეკონომიკური საქმიანობისთვის, თუ მასზე მიღებულია დღგ-ის ჩათვლა;
- ▶ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში საქონლის ნაშთი, რომელზედაც მიღებულია დღგ-ის ჩათვლა;
- ▶ საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება;
- ▶ სანარმოს ან/და ამხანაგობის მიერ წილის სანაცვლოდ საქონლის საკუთრებაში გადაცემა ან მომსახურების გაწევა;
- ▶ იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას მოიჯარის (გარდა სსკ-ის 97-ე (1-3) მუხლით გათვალისწინებული პირებისა) მიერ ძირითადი საშუალებების მეიჯარისათვის დაბრუნება;
- ▶ ტურისტული სანარმოს სტატუსის მოქმედების ვადის გასვლა ან ვადაზე ადრე შეწყვეტა.

როგორ განისაზღვრება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციიის თანხა და შესაბამისი დარიცხული დღგ-ის თანხა?

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება დღგ-ის გადამხდელის მიერ საქონელზე/მომსახურებაზე მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

დარიცხული დღგ შეადგენს დასაბეგრი ოპერაციის თანხის 18 პროცენტს. თუ კომპენსაციის თანხა მოიცავს დღგ-ს, დასაბეგრი თანხა განისაზღვრება: **კომპენსაციის თანხა/1.18**

რა არის დღგ-ის ჩათვლა/ჩასათვლელი თანხა და რის საფუძველზე მიიღება ჩათვლა?

დღგ-ის ჩათვლა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება, შემციროს ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე.

დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არის:

- ▶ დღგ-ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით საქონლის შეძენისას, მომსახურების მიღებისას ან/და საქონლის იმპორტისას.
- ▶ უკუდაბეგვრის წესით დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული უკუდაბეგვრის დღგ-ის თანხა, რომელიც იმავდროულად ჩათვლის მიღების საფუძველია.
- ▶ საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების შემთხვევაში ამ ოპერაციაზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა, რომელიც იმავდროულად ჩათვლის მიღების საფუძველია.
- ▶ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირებს შორის საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში – თითოეული მხარისათვის მიწოდებულ საქონელზე/განეულ მომსახურებაზე გადახდილი ან/და გადასახდელი დღგ-ის თანხა, თუ თითოეული ოპერაცია იბეგრება დღგ-ით. ამასთანავე, ჩათვლა ხორციელდება სანაცვლო საქონლის/მომსახურების მიღების მომენტში.

დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) საქონელი ან/და მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებულ იქნება:
 - ა.ა) დასაბეგრ ოპერაციებში, გარდა ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა;
 - ა.ბ) საქონლის რეექსპორტში ან/და ექსპორტში;
 - ა.გ) საქართველოს ტერიტორიის გარეთ მომსახურების განწვეისათვის;
- ბ) საქონელი ან/და მომსახურება გამოიყენება ზემოაღნიშნული საქონლის წარმოებისათვის ან/და მომსახურების განწვეისათვის.

დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტებია:

- ▶ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა
- ▶ საბაჟო დეკლარაცია;
- ▶ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ განეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (N 401 დადგენილება, 28/12/2010წ.)
- ▶ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციის შემთხვევაში მყიდველის მიერ საქონლის შეძენის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (სსკ-ის 176¹ მუხლის მიხედვით).

- ▶ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქონლის იმპორტთან ან/და საქონლის დროებით შემოტანასთან დაკავშირებით დარიცხული დღგ-ის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
შენიშვნა: ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით, დღგ-ის ჩათვლის ვადებთან დაკავშირებული შეზღუდვები იხილეთ სსკ-ის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილში.

როგორ ხორციელდება დღგ-ის ჩათვლა თუ საქონელი ან მომსახურება ერთდროულად გამოიყენება ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების ბარეში ოპერაციებში?


თუ საქონელი ან მომსახურება ერთდროულად გამოიყენება ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამოიყენება შეუძლებელია, მაშინ დღგ-ის ჩასათვლელი თანხა გაიანგარიშება საანგარიშო პერიოდში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით. ხოლო დღგ-ის ჩასათვლელი თანხის დაზუსტება ხდება მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით. ამასთან, დღგ-ის ჩასათვლელი თანხის გადაანგარიშება ან/და გაუქმება სავალდებულო არ არის, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის თანხის 5 პროცენტზე ნაკლებია.

როგორ ხდება არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრა?

არარეზიდენტის მიერ (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული მომსახურება დაიბეგრება დღგ-ის უკუდაბეგვრის წესით. საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას მომსახურებისათვის გასაცემ თანხაზე. უკუდაბეგვრის მიზნებისათვის საგადასახადო აგენტად ითვლება ნებისმიერი გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსი) და არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულება. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა საგადასახადო აგენტი რეგისტრირებულია თუ არა დღგ-ის გადამხდელად.

როდის ხდება უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშების წარდგენა და დღგ-ის ჩათვლა?

თუ საგადასახადო აგენტი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, უკუდაბეგვრისას დარიცხული დღგ-ის თანხა ექვემდებარება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციაში ასახვას, რომელიც იმავდროულად ჩათვლის მიღების საფუძველია. შესაბამისად, დღგ-ის გადამხდელს უფლება აქვს დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა ჩაითვალოს იმავე დეკლარაციით, ჩათვლისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

ელექტრონულ პორტალზე შესვლა, რეგისტრაცია და მომხმარებლის/პაროლის აღდგენა შესაძლებელია შემდეგი ბმულიდან:
https://eservices.rs.ge/Login.aspx?redirect_url=https://eservices.rs.ge/Login.aspx 

რა მონაცემები აისახება დღგ-ის ელექტრონული დეკლარაციის ჩანართებში?

დეკლარაციის შევსების დეტალური ინსტრუქცია მოცემულია დეკლარაციის მოდულში

დამატებული დარღველების გადასახადის დეკლარაცია

დარღვება: 0 შემცირება: 0

დამსტრეგული, 2019/09 შივისის ამბროსიძის

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16

დანიართი "ა" ნაწილი I დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები

ოპერაციის აღწერა	დასაბეგრი ბრუნვა	
დასაბეგრი ბრუნვა		18%
არაფინანსური საკომპენსაციო (გარეშა საკარო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახელწიფოსათვის ან/და აფილირბიფი თიფთმმარტოფობისათვის საქონლის უსაყფიფლოფ მონოფების ან/და მომსახურების უსაყფიფლოფ გაფოფუნტებულ საქონლი/მომსახურება, რომლზეც აფრე განზორცილდა ჩათვლა	(1) 0.00	0.00
საყფიფარ წარმოების შენბა-ნაფების თირიფთა საშუალებათ გაფოფუნტბა	(2) 0.00	0.00
საყფიფარ წარმოების შენბა-ნაფების თირიფთა საშუალებათ გაფოფუნტბა	(3) 0.00	0.00
საყფიფარ წარმოების შენბა-ნაფების თირიფთა საშუალებათ გაფოფუნტბა	(4) 0.00	0.00
საყფიფარ წარმოების შენბა-ნაფების თირიფთა საშუალებათ გაფოფუნტბა	(5) 0.00	0.00
საყფიფარ წარმოების შენბა-ნაფების თირიფთა საშუალებათ გაფოფუნტბა	(6) 0.00	0.00
საყფიფარ წარმოების შენბა-ნაფების თირიფთა საშუალებათ გაფოფუნტბა	(7) 0.00	0.00
სხვა დასაბეგრი ოპერაციები	(8) 0.00	0.00
საყფიფარ წარმოების შენბა-ნაფების თირიფთა საშუალებათ გაფოფუნტბა	(9) 0.00	0.00
თიფთიფტროსაფფერებისათვის ბუნებრიფი აირის მიწოფება	(10) 0.00	0.00
საყფიფარ წარმოების შენბა-ნაფების თირიფთა საშუალებათ გაფოფუნტბა	(11) 0.00	0.00
საყფიფარ წარმოების შენბა-ნაფების თირიფთა საშუალებათ გაფოფუნტბა	(12) 0.00	0.00
საყფიფარ წარმოების შენბა-ნაფების თირიფთა საშუალებათ გაფოფუნტბა	(13) 0.00	0.00
საყფიფარ წარმოების შენბა-ნაფების თირიფთა საშუალებათ გაფოფუნტბა	(14) 0.00	0.00
სულ	(15)	0.00

შეძენა შენბა წაბლა

შეფაფა

- 1 დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები (დანართი "ა" ნაწილი I)
- 2 უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ (დანართი "ა" ნაწილი II)
- 3 დღგ-ის ჩასათვლელი თანხა (დანართი "ა" ნაწილი III)
 - 4 დასაბეგრი ოპერაციებზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (მათ შორის, კორექტირების) (დანართი "ბ" ნაწილი I)
 - 5 შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (მათ შორის, კორექტირების) (დანართი "ბ" ნაწილი II)
 - 6 საქონლის იმპორტზე (მათ შორის, დროებით შემოტანაზე) გამოწერილი საბაჟო დეკლარაციები (დანართი "ბ" ნაწილი III)
 - 7 საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176¹ მუხლის შესაბამისად საქონლის შეძენის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (დანართი "ბ" ნაწილი IV)

- 8 საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შედეგად შექმნილი საქონელი/მომსახურება (დანართი "ბ" ნაწილი V)
- 9 საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ განეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დანართი "ბ" ნაწილი VI)
- 10 საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქონლის იმპორტთან ან/და საქონლის დროებით შემოტანასთან დაკავშირებით დარიცხული და გადახდილი დღგ (დანართი "ბ" ნაწილი VII)
- 11 დღგ-ის ბრუნვის კორექტირება (დღგ-ის შესამცირებელი თანხა) (დანართი "ბ" ნაწილი VIII)
- 12 დღგ უკუდაბეგვრით დასაბეგრი ოპერაციის კორექტირება (დღგ-ის შესამცირებელი თანხა) (დანართი "ბ" ნაწილი IX)
- 13 გამონერილი (მათ შორის, შიდა გადაზიდვაზე) ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურები (მათ შორის, კორექტირების) (ნაწილი II¹)
- 14 შექმნილ ნავთობპროდუქტებზე გამონერილი ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (მათ შორის, კორექტირების) (ნაწილი II²)
- 15 ნავთობპროდუქტების ფაქტიურად დარიცხული ნაშთები (თვის განმავლობაში ფაქტიურად გახარჯული)
- 16 დღგ-ის საერთო თანხის გაანგარიშება

დღგ-ის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

https://www.rs.ge/Default.aspx?sec_id=4723&lang=1&catid=52



გზამკვლევში წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია 2019 წლის 19 აგვისტოსთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

 2 299 299

 info@rs.ge

 www.rs.ge